№ 113
პარასკევი 2 ივნისი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 113
პარასკევი 2 ივნისი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
**და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

თეოდოსია ფირანის ასული ხელთუფლიშვილისა და დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის **მიხეილ ბესარიონის ძის ხელთუფლიშვილისა** არდახდილ იქნება კვირას, 4 ივნისს, წმიდა გიორგის ეკკლესიაში, ქ. ქუთაისში. წირვა დაიწყება დილის 9 საათზედ.

(2—6—2).

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ჯიჯინაძისა და ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—ხდა სალამოს 4—7 საათამდე.

**გამგეობა მხარჯველ საზოგადოებისა** ამიერ-კავკასიის რკინის გზისა მოიწვევს ამით მეყასბეთა, აძლიონ მთელის წლის განმავლობაში საზოგადოების ორ მაღაზიისათვის საჭირო **ხორცი.**

ერთი მაღაზია საზოგადოებისა იმყოფება მიხეილის ქუჩაზედ და მეორე რკინის გზის პირველ სახელოსნოს მახლობლად.

ფასები უნდა დაადონ ქალაქის ნიხრის დაგვარად და აგრეთვე აუწყონ, ფუთზედ რას დაუკლებენ (ყოველდღე დასჭირდება 25—35 ფუთამდე ხორცი). განცხადება შემოტანილ უნდა იქმნას რკინის გზის უფროსის კანცელარიაში დაბეჭდილ კონვერტით საზოგადოების გამგეობის სახელობზედ (Правленіе Потребительнаг Общества) განცხადების შემოტანა შეიძლება ივლისის 10-მდის. განცხადებაში უნდა იქმნეს ნაჩვენები აგრეთვე ბე, ნდობისათვის საჭირო ფული.

(3—3)

კვირასა და ორშაბათს 4—5-ს ივნისს გამართული იქნება

**ლატარი-ალეგრი**

გასაძლიერებლად „ტფილისის მეორე გიმნაზიის დამხმარე საზოგადოებისა“.

ამ საზოგადოების გამგე კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ბ. გ. ბარათაშვილისა აცხადებს რა ამას საყურადღებოდ ტფილისის საზოგადოებისა, დიდად იმედოვნებს, რომ პატივცემული საზოგადოება წელსაც, როგორც შარშან, გულ-მხურვალედ მიეგებება ამ კეთილს საქმეს და შესწირავს ნივთებს ზემოხსენებულს დამხმარებელს საზოგადოებას ლატარია-ალეგრის გასამართავად, რომლის შემოსავალი ერთიან გადაიდება ამ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

შემოწირულებანი მიიღება გამგე კომიტეტის თავმჯდომარის კნ. ბ. გ. ბარათაშვილისას, საკუთარს სახლში, რეუტოვის ქუჩაზედ და სასწავლებლის დირექტორ დრბოგლავთან, ვორონცოვის-ნაბერეჟნი ქუჩაზედ, გიმნაზიაში.

## სოფლის მასწავლებელთა საზოგადოების შესახებ.

სოფლის მასწავლებელი ერთად ერთი მოღვაწეა, რომელსაც სინათლე შეაქვს ხალხში, იგი ერთად-ერთი მახარობელია მეცნიერებისა, ერთად-ერთი თვალ-ამხილებელია ხალხისა.

მაგრამ როგორ ყოფაშია ეს მასწავლებელი?—თქვენი მტერი იყოს, მკითხველო, ისეთს ყოფაში. ჯერ ერთი, ყველა მისი უფროსია ბოქაულიდგან მოკიდებული უბრალო მამასახლისამდის. მისი უფროსები არიან აგრეთვე სოფლის გავლენიანი პირები, რომელნიც მოსვენებას არ აძლევენ არავის, ვინც-კი არ ემონება მათ. მეორე, ყველამ უწყის სოფლის მასწავლებლის სამწუხარო ეკონომიური მდგომარეობა. ამის გამო, იგი გამოუდეგარია იმ ოჯახისათვის, რომელმაც იგი აღზარდა და რომელიც მისგან ელოდა შველას. სოფლის მასწავლებელსა და მის ოჯახს შორის დიდი დრამა სუფევს ყოველთვის. მშობლები ემდურებიან შვილს, რატომ სამსახურში არ შედიხარ, რომ იქნება პრისტაობა მაინც იშოვო, ან რატომ მღვდლად არ ეკურთხებიო. ხომ ხედავ, რაც რამე გვქონდა, შენ გადაგატანეთ თან, ახლა აღარაფერი გაგვაჩნია, სხვა შვილებიც გამოსაზრდელი გვყავს, შველას შენგან ველოდითო და შენ შენი თავის რჩენაც გიჭირსო. და, რომ სთქვას კაცმა, არც გასამტყუნარი არიან მშობლები, მაგრამ იფიქრე, მკითხველო, რას უნდა გრძნობდეს ახალგაზდა მასწავლებელი, როდესაც ასეთს მწარე სიტყვებს ისმენს საყვარელ ადამიანებისაგან!

სოფლის მასწავლებელი, თუ თავის უბედური არ არის, ცოლს ვერ შეირთავს: რომ შეირთოს, საიდგან არჩინოს ოჯახი და გამოზარდოს შვილები? მისთვის ისიც დიდია, თუ მცირეოდენი დახმარება მიაწოდა მშობლებს და თავისს პატარა ძმებში ერთს ან ორს ოთხი კლასი მაინც გაათავებია.

ხოლო თავისთვის-კი მას არაფერი სიამოვნება არ რჩება ამ ქვეყნად. იგი სწორედ მსხვერპლია ოჯახისა და ქვეყნისა. ვინ სთქვა, რომ ისტორია უმსხვერპლოდ მიმდინარეობსო? აი, თუნდ ჩვენი მასწავლებლები საუკეთესო მაგალითი არიან წინააღმდეგისა. დიაღ, რაც უფრო უკვირდება კაცი ცხოვრებას, იმდენად უფრო რწმუნდება, რომ ისტორია, უმეტეს ნაწილად, უსამართლო საშუალებას ირჩევს ხოლმე პროგრესისათვის. ჩვენი სოფლის მასწავლებლების შესახებ ორნაირი უსამართლობა ხდება: ერთი, რომ თვით მასწავლებლები არიან მოკლებულნი კერძო ბედნიერებას და მეორე, რომ ეს მსხვერპლი იწირება ღარიბ ოჯახებისაგან.

აი, ამიტომ არ არის მიმზიდველი სოფლის მასწავლებლობა.

აი, ამიტომ, ვისაც-კი სხვა რაიმე საქმე შეუძლია იშოვოს—ვინც გმირი არ არის, ყველა გაურბის სოფლის მასწავლებლობას და აი, აქ არის სათავე მისი, რომ ჩვენის ერის სწავლა-განათლების საქმე ცუდად მიდის. დიაღ, სანამ სოფლის მასწავლებლის მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, სანამ ეს სამსახური გაუჭირვებელის ცხოვრების საშუალებას არ მისცემს მას, მანამდის წინ ვერ წავა რიგია-

# ფელეტონი

## პირველი სინანული.

სარკმელი ძველის ჩარდახის
შეჰყურებს კაშკაშს მთვარესა,
მნათობი ამკობს, გულს უტკბობს,
თანაც აძინებს არესა.
ცა სანუგეშოდ აგზავნის
ანგელოსთ გუნდსა გუნდზედა,
სიცოცხლის სიტკბოს ზედ ამყნის
მსოფლიოს მკვნესარს გულზედა,
რომ კვალად გაღვიძებული
აღარა ჰგრძნობდეს ძრწოლასა,
რომ გაუმკლავდეს იმედით
საამქვეყნიო ბრძოლასა!..
სამის წლის ნორჩი, შავ-თვალა
სარკმლის ფიტონზედ დამჯდარა
და ძილს უკარგავს პერანგას
განათებული ფანჯარა.
ღამისა სიო საამო
არხევს ხის ფოთოლთ მწვანესა,
მათ შორის ცელქი ისრები
გაუძვრენია მთვარესა,
და ფოთოლთ წყნარად რხევის დროს
ის ათამაშებს თვისს ისრებს;
ნორჩსა ჰსურს მათი დაჭერა,
რომ ვერ ახერხებს—კისკისებს!..
დედა თავს ადგას და ჰფიქრობს:
„შვილო! ვერ იცნობ მთვარესა,
ვერც სხვა მნათობთა, ვერც მიწას,
ვერცა ცხოვრებას მწარესა
და რომ იცნობდე სიცოცხლის
ამაოებას, ცდენასა,—
მყის ცრემლებს მიეკედლები,
დასწყევლი, დაჰგმობ ლხენასა“!..
ვერც-კი მოასწრო ეს ფიქრი—
მთვარე ღრუბელმა დაჰფარა
განჰქრენ სხივები, წყვდიადით
გარდაიმოსა ფანჯარა...
შეკრთა პატარა... მოტყუვდა...
იგრძნო ნაღველი გულისა
და დააფრქვია ცრემლები
პირველის სინანულისა!..

გრ. აბაშძე.

## ხალხის ცხოვრებიდგან.

(დასასრული*)

იმ კამპანიის ახლო-მახლოდამ ტკბილად აქვითინებული ფანდურის ხმა და სალამურის საამურად ატირებული ღუღუნი მოისმოდა და უმშვენიერესთა ქალწულთა სანეტარო იავნანასავით იპარავდა ადამიანის გულ-გონებას, როცა იმ გულ-საძგერად აკვნესებულ საკრავებზედ ცრემლ-სადენის გრძნობით დამღეროდა ვიღაც შემდეგს:

გარს ხორველა გვახვევია,
გაგვეყვითლა ნორჩი მდელო,
სულსა გვხუთავს, გვანადგურებს,
სად ხარ, მადლო, ჭირთა მკვლელო.
წმიდა დედავ, ღვთის-მშობელო,
შენ დაგვიხსენ, ჩვენო მცველო,
სტირის, სტირის, ამას სტირის,
გვეღუპება საქართველო!

შეზარხოშებული და ამღერებული ხალხი ეხლა უფრო მხიარულად ჟრიამულებდა, ჩონგურ-დაირა მუსიკას უფრო ერთი ყოფა გაჰქონდათ უზარმაზარს ჰალაში და გაცხარებული ტაში და ლეკური ხომ ჯღანმანიანათ გიჟდებოდა. საუცხოვო სანახავი იყვნენ ერთ ზორბა წიფელ-ქვეშ თავმოყრილი, ჩოხა-ნაბდისქუდებში კოხტად გამოკანკლული ჯეელი ბიჭები, რომელნიც ხელის გულივით ვაკე მწვანიანს ალყასავით შემორტყმოდნენ გარშემო. რომელიმე მათგანი დაქანცვამდის სხაპა-სხუპით მოსთქვამდა სათამაშო ხმაზედ ტაშის ცემით საგმირო, სასიყვარულო და საოხუნჯო ლექსებს, ხმა-გაკმენდილი დანარჩენები მოლექსეს გაჭარხლებულ-ტაშს აყოლებდნენ და ისეთი საოცარი სისწრაფით „უსვამდნენ“ ლეკურს ჯერ-ჯერით მშველ-ხოხობივით დაფხლეკილი ბიჭები, რომ იმათ ათამაშებულ ფეხებს თვალს ვერ მოჰკრავდით და იმათის ვაჟკაცურად მოყვანილის ტანის მიმზიდველობა-სიმარდის ყურებით ვერ გაძღებოდით. „გაუსვი! გაუსვი! გაუსვი!..“—ამხნევებდნენ მოთამაშეებს და „ტაშ! ტაშ! ტასი! ტასი!..“ გაცხარებულის ოხუნჯობით ყვიროდნენ. ძალიან გასართობი და მიმზიდველი რამ იყო იმათი ჰარმონიულად ტაშ-შეწყობილი „სიტყვიერი მუსიკა“: ერთსა და იმავე დროს ფეხების სალხინო მოძრაობასთან გონებასაც უმოძრავებდათ სამახსოვრო გონივრული ლექსები. მადალ-პოეტურის მელოდია-ჰარმონიით ჟღეროდა იმათი სიტყვიერი მუსიკა, მაგალითად: „ნანა დელასა, დელასა, შენ მირჩევნიხარ ყველასა, მოგიტაცებ და გაგაფრენ ჩემსა გულისა მწველასა“. ყველას მოშაირე-მემუსიკესაკენა ჰქონდა მიმართული ყურთასმენა: საგმირო ლექსებს ჩაფიქრებულის სახის გამომეტყველებით ისმენდნენ. სასიყვარულო ლექსების გაგონებაზედ ყველას მხიარული ღიმილი უთამაშებდა სახეზედ და როცა რომელიმე მოლექსე სამასხარო ცინიკურს რასმე გამოურევდა თავისს „მუსიკაში“, მაშინ-კი იმათი შეერთებული სიცილ-ხარხარი მთელს ჰალას ახმაურებდა.

— მართლაც რო ქუდები ცხლანდელ დედაკაცებს უნდა ეხუროთ, ლეჩაქები ჩვენ, მძიმე ამოქშენით დაიწყო ღრმა ფიქრის შემდეგ დიაკვანმა: თქვენ ეგ რად გინდათ, კაცებო, აი აქიდამ უფრო ცხადად დაინახავთ ჩვენს სივაგლახეს, შაუსმენრობას და თავისს დამღუპავ წინდაუხედაობას. გთხოვთ, ცოტა ხანს ყური-კი მათხოვოთ.

— ბრძანე, ბრძანე! წამოიძახა კაცების კამპანიამ და სმენად გარდაიქცა.

— მოგახსენებთ. შარშან ჩემს ღვდელს ერთი ნასწავლი კაცი ესტუმრა ქალაქიდამ. ამ კაცმა ერთ უქმე დღეს იგრე ტკბილად და საყვარლად გვიქადაგა შეყრილ სოფელს, რო იფიქრებდი: ეს სწორედ ქრისტეს მოგზავნილი მოციქულიაო. ენა ძლიერი მოქადაგეც ბევრი მინახავს, ბევრი კაი წიგნიც წამიკითხავს, მაგრამ კაცი ვბერდები და ჩემ დღეში არ შავხვედრივარ იგეთი სიბრძნის მეტყველი ენა-პირის მქონე ღვთის ნათლულ მოქადაგეს. იმისი დიდი ჭკვა-გრძნობით სავსე ლაპარაკი ადამიანის გულს ძალზედ აყვარებდა სიმართლე-კეთილს და ძალზედვე აძულებდა სიმტყუნე-ბოროტებას. თითო იმისი ამომარგალიტებული სიტყვა გულსა და სულს მაჭარივით ეჭიდებოდა, ბინდ-გადაკრულ გონებას ბნელს უნათებდა, აღვიძებდა, ჭკვას ასწავლიდა და ღრმად უნერგავდა მოძმე ქვეყნის შებრალება-სიყვარულს, სიწმინდეს, სიჭეშმარიტეს, სიმხნევეს, სულ-გრძელობას და ვაჟკაცობას. როგორც ყულაბში უზალთუნები და ნახნავში ხორბლის მარცვლები, იგრე ცვივოდა იმის ჭკვამადლიანი სიტყვები ადამიანის გულ-გონებაში, და ენით გამოუთქმელ აღტაცებაში მოჰყავნდა შეგნებული კაცის ჭკვა და ფიქრი იმის ჭკვაძლიერ ენას, რომელიც მზესავით ცხადი, გაზაფხულივით მშვენიერი, ია-ვარდივით საამებელი, თაფლივით ტკბილი, სიყვარულივით მომხიბლავი, დედა-მიწასავით მდიდარი და ქარიშხალივით ძლუმი იყო. იმის ნათქვამ მაღალ აზრებს ჭკვათა-მყოფელი ადამიანი მზესავით ბრწყინვალე ჭკვაგონების ზღვაში შეჰყავნდა ათასნაირად დასაფიქრებლად. სწორედ ის ღვთის მადლი იყო კაცის სახით მოგზავნილი ზეციდგან, თორე მიწიერი ადამიანი, რომლის ლაპარაკი ცალიერი ბზე და ბუქია, იგრე ღვთიურად ვერ იმეტყველებდა. ვინ იცის, რამდენი ადამიანი მოურჯულებია იმის ჭკვა-მადლიან სიტყვებს. ქრისტეღმერთმა თავისი სული და გული ძლევა-მოსილ სიტყვებში გაახვია, იმ ჭკვა ძლიერი სიტყვებით ქვეყანას ახალი სული და გული ჩაუდგა, მთე-

*) იხ. „ივერია“, № 112.

ნად დიდი საქმე ხალხის განათლებისა.

განვიმეოროთ, უფრო ნიჭიერები ანუ სწავლულები—გარდა ზოგიერთებისა,—უფრთხიან სოფლის მასწავლებლობას. ვისაც სოფლის მასწავლებლობა ბედმა არგუნა, იგიკი ცხოვრებაზედ გულ-გატეხილი და გულ-დაჩაგრულია. დრო არის მოეღოს ბოლო ამგვარს უნუგეშო მდგომარეობას!

თუ საჭიროა რამე ჩვენში, სოფლის მასწავლებელთა საზოგადოების დაარსება, ჩემი ფიქრით, უუსაჭიროესია. საზოგადოება უნდა შეადგინონ თვით მასწავლებლებმა, რომელნიც იქმნებიან მისი ნამდვილი წევრები. საზოგადოებას ეყოლება აგრეთვე დამხმარებელი წევრები. წევრის ფულის რაოდენობა და ბევრი სხვა თვით დამმაარსებელთაგან გადაწყდება და აქ ამაზედ ლაპარაკს საჭიროდ არა ვთვლი. საზოგადოებას ექმნება აზრად ხელი გაუმართოს თითოეულს თავისს ნამდვილ წევრს გაჭირვებაში და აღზარდოს თავისის ხარჯით გარდაცვალებულის წევრის შვილები, ანუ მახლობელი ნათესავები, რამდენიც საზოგადოების საშუალებაზედ იქნება დამოკიდებული. მეორე აღზარდოს თავისის წევრების შვილები ან ნათესავები. ამ აზრით, საზოგადოებამ უნდა დაიარსოს ტფილისში ანუ ქუთაისში პანსიონი. ზედამხედველნი პანსიონისა უნდა იყვნენ ამორჩეულნი წევრებისაგან. პანსიონში გარეშეთა შვილებიც უნდა მიიღონ, ცოტა მეტის გარდასახადით. თვით მასწავლებელთ უნდა მიეცეთ ნება ფულის მაგიერად ქირნახულის გარდახდისა. ცხადია, რომ მასწავლებლები ყოვლის ღონისძიებით ეცდებიან, რომ ის პანსიონი, სადაც მათი შვილები იქნებიან, გააუმჯობესონ და ნაციონალურს ნიადაგზედ დააყენონ.

ცხადია, რომ იგინი ეცდებიან, ყოველმხრივ განავითარონ თავისი შვილები: შეიტანენ აღზრდაში ფიზიკურს ელემენტს, ამ დიდს ნაკლს ახლანდელის ჩვენის აღზრდისას. ამიტომ მასწავლებელთა პანსიონს ექმნება ბაღი, სადაც ყმაწვილები იმუშავებენ ზაფხულში და სხვა-და-სხვა სახელოსნოები, რომ ფიზიკური შრომა ზამთარშიაც არ მოაკლდეთ.

ამით სოფლის მასწავლებლები აასრულებენ კიდევ ერთს დიდს მოვალეობას ჩვენის ქვეყნის წინაშე: იგინი აღგვიზრდიან შეგნებულსა და ჯანმრთელს თაობას. სოფლის მასწავლებელნო! იკისრეთ ეს დიდი საქმეც და მაშინ დაიდგამთ თქვენ ძეგლს, დაუვიწყარს ჩვენის ერისაგან.

ვ. წ.

# ახალი ამბავი

*** საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი 31 მაისს პეტერბურგს გაემგზავრა.

*** შავის-ზღვის ოლქის მთიან და საშუალო ადგილების გამოსაკვლევად შემდგარი ექსპედიცია წელს ძველის გზის შეკეთებას შეუდგება.

*** ინჟენერ ლინდლე, რომელიც მიწვეულ იყო ქალაქის გამგეობისაგან გამოსაკვლევად არხის გასაყვანად, უკვე ათავებს მუშაობას. მისის აზრით, ქალაქს არხის გასაჭრელად დასჭირდება ოთხ მილიონ მანეთამდე და ყოველ-დღე ერთი მილიონი ვედრო წყალი მოუნდება ქალაქს.

*** საერო განათლების მინისტრი აცხადებს, რომ რკინის გზით მოსიარულე მოწაფეებს შემდეგი შეღავათი მიეცემათ, 70—140 ვერსის მანძილზედ ათი შაურით და 140—900 ვერსის მანძილზედ, ერთი მანეთით ნაკლებ დაეთმობათ ბილეთები; ხოლო, თუ გასავლელი მანძილი 70 ვერსზედ ნაკლებია, ან 900 ვერსზედ მეტია, მაშინ არაფერი შეღავათი არ მიეცემათ.

*** 6 ივნისს სახაზინო პალატაში დანიშნულია საჯაროდ ვაჭრობა შესახებ მახხაანისა და თუქურმიშის ფოსტის სადგურების იჯარით აღებისა.

*** პირველ ივლისიდგან სოფელ ოქრო-ყანაში, რომელიც მდებარებს ტფილისიდგან სამ-ოთხ ვერსზედ, კავკასიის მცირე-წლოვან დამნაშავეთათვის ზნეობის გამასწორებელი საზოგადოება ჰმართავს დამნაშავეთათვის თავშესაფარსა. ამ ჟამად გაცხარებული მუშაობაა აქ საჭირო შენობის ასაგებად და ძველის გასაახლებლად. მამული, სადაც იმართება თავ-შესაფარი, არის ა. პოლტარაცკის აგარაკი, მშვენიერი ჰავით, ადგილ-მდებარეობით და წყლით. დირექტორად ხსენებულის თავ-შესაფარისა მოწვეულია ი. როსტომაშვილი. თავ-შესაფარში მცირე წლოვან დამნაშავეთ ასწავლიან წერა-კითხვას, მეურნეობას და სხვა-და-სხვა ხელოსნობას.

*** ს. ბაკურ-ციხე: 18 მაისს ამოვარდა საშინელი ქარი, ზედ მოჰყვა სეტყვა და ორივემ ერთად ერთიან გაანადგურეს კვირტ-გამოღებული ვენახები. გულ-საკლავი სურათი წარმოუდგება კაცს თვალ-წინ ჩვენი ვენახ-მინდვრები რომ ნახოს.

ს. გაკაბეთი: ჩვენში მოსავალს კარგი პირი უჩანს. ბალახების თიბვას უკვე შეუდგნენ, ქერის ყანებიც მალე იქნება მოსამკალი. საუბედუროდ კალიამ იჩინა თავი და ხალხი მის დასახოცად გავიდა. მუშა-ხელი სამუშაოს სიმრავლის გამო ამით უფრო გაძვირდა. 18 მაისს ჩვენშიაც იყო ძლიერი ქარი, მაგრამ მადლენი არა დააზიანა-რა.

## კორესპონდენცია.

**სოფ. ბორჩხა**, (ჭოროხის ხეობა). თითქმის საქართველოს ყველა კუთხიდამ გვესმის, რომ ამ-და ამ სოფელში სკოლა დაარსდა, ამა და ამ სოფელში სამკითხველო გახსნეს და სხვა... ამ მხრივ ჭოროხის ხეობა უკან არის ჩამორჩენილი. ჩვენ არ მოგვეპოვება არც სკოლა არც სხვა რამ გონების გასაწვრთნელი. თუმცა იმდენი შეძლება მოგვეპოვება, რომ შეგვიძლიან გავხსნათ სკოლაც და სამკითხველოც, მაგრამ თუ აქამდის არც ერთი გვაქვს და არც მეორე, ეს იმის ბრალია, რომ ფუხარებს არ ესმით განათლების მნიშვნელობა. ამის შეგნებას დიდად ხელს უშლიან მოლა-ხოჯები. მაგრამ, საკვირველია, ჩვენი აღა-ბეგების ხელგაუნძრევლობა ამ საქმეში. ისინი ფუხარების ყველა საქმეს უძღვებიან, ყველაფერში მოთავენი არიან და რატომ ამ ფრიად კეთილ საქმისათვისაც არ იზრუნებენ. მათ თვით კარგად ესმით, რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს წერა-კითხვის გავრცელებამ მდაბიო ხალხს; მაშ რად არ ჩააგონებენ მას, რაიმე არ მისცემენ მაგალითს, მით უმეტეს რომ, როგორც გავიგეთ, მთავრობას მოუსურვებია გახსნას ჩვენში რომელიმე სკოლა.

ვარწმუნებ ამ შეგნებულ პირთ, რომ საჭიროა მათ მაგალითი უჩვენონ ფუხარებს და ისინი თავისს წვლილს არ დაზოგავენ ამ სასარგებლო საქმისათვის.

ჩვენ ერთხელ გვქონდა სკოლა, ეს სკოლა ახმედ ეფენდიმ გახსნა თავის ხარჯით და ჯეროვანი ნაყოფიც მოჰქონდა სკოლას, მაგრამ გარდაიცვალა პატივ-ცემული ახმედ ეფენდი და სკოლამაც შესწყვიტა თავისი არსებობა.

## პასუხის მაგიერ „დარაჯს“.

ჩვენს ცნობილ „სამეცნიერო“ ჟურნალ „კვალში“, (№ 21), რომელიც სხვათა დაუფასებელთა ღვაწლთა შორის საარაკო „მესამე დასის“ მშობლად და ლალად ითვლება, მე სრულიად შემთხვევით,—გულ-ახდით უნდა აღვიარო, რომ ამ ყოველგვარის სიბრძნისა და მეცნიერების ზღვას იშვიათად ვეწაფები, რადგანაც როგორც „ფროფანი“ ვშიშობ იმისმა უძირო მორევმა არ ჩამითრიოს და არ დამარჩოს!—წავაწყდი ერთს სრულიად უშინაარსო, უაზრო, უმნიშვნელო ყბედობას „ვისი ბრალია“-ს სათაურით, რომელიც „სამეცნიერო“ ჟურნალის რედაქციას სარჩევშიაც-კი მოუმწყვდევია და მაშასადამე თავისს მკითხველთათვის გონების საზრდო მაღალათ უცვნია.

თუმცა ნიღაბ-აფარებული ავტორი ამ მახინჯის შენიშვნისა პირდაპირ მე არ მასახელებს, მაგრამ სტრიქონებს შუა ნათლად გამოსჭვირს ჩემი ვინაობა: ვინ არის ექიმი, მოთხრობის „ვისი ბრალია“ დამწერი, თუ არ მე, თქვენი უმორჩილესი მონა?

დღესავით ნათელი და აშკარაა, რომ ეს შენიშვნა მხოლოდ ერთის ... ზრით არის დაწერილი: როგორმე ჩირქი მოსცხოს ჩემს პი-

---

ლი დუქნია მოარჯულ-ღმერთა და იმით დაგვიმტკიცა, რო ქვეყნიერობაზედ ვეოა-რომელი შეთოფ-იარაღებული მეფე-გმირები ვერ შეედრებიან იმ გმირებს, რომელნიც მხეცის გუნების ადამიანებს ანგელოსის შკვაგულს უდებენ თავიანთ ნალალ-ნიჭიერების სიბრძნე-მადლით, რისთვისაც როგორც ცაში მზე და მთვარე, იგრე უკვდავათ ბრწყინავს და ელვარებს ქვეყანაზედ იმათი ჩინებული სიტყვა და სახელი ხანთა და ჟამთა დაუსრულებელ საუკუნოებს. გეტყვიან თითო რასმე იგეთს, რო მკვდარიც-კი წამოდგება და ყურს დაუგდებს. მდაბიო ხალხის გულ-გონებაც შამბნარიანი შოროქანია, და ის კარგ მთქმელებიც სწორედ იმ შამბნარიანის გადასახვნელად და კეთილი თესლის ჩასათესად გაუჩენია ღმერთს. რაღა ბევრი გაგიგძელოთ, უგუნური ხალხის ღვთიური სიტყვა-ქადაგებით მოკეთილ-გონიერებაც მეორე ღმერთობაა, მაგრამ აბა ვნახოთ ერთი ჯერ იმათთანა მეორე ღმერთებსაცკი რა თვალით უყურებს სიჯიუტესირეგვნით გატენილი ჩვენი ხალხი და ნამეტნავად აჰია ბაჰიას მოყვარული ჩიტირეკიები და წუნკლიკო ებელუცანები. იქნება ყურს არ მიგდებთ, კამპანიავ?

— ყური შენყენა გვაქ, შენკენა ერთხმად წამოიძახეს კაცებმა.

— გიშველათ ღმერთმა, ნახა მაგრეა. ჰო, იმას მოგახსენებდით. „ძმებო ჩემნო საყვარელნოვო, გვითხრა ბოლოს ი დალოცვილი-შვილმა ღვდლის სტუმარმა, როცა ამოყაჰა და ამოყაჰა მძლავრი გულ-გონებიდამ დაგუბებული აზრები ქვა-ტინის გამხეთქავი სიტყვებით და დაიღალა ბრძნული ქადაგებით: ხო ჰხედავთ, თქვენი ჭირის ოფლით ნაწვავ ნადაგი მონაგარით ათასი ორფეხა მგლები სუქდებიან: ვაჭარ-ჩარჩები, მოვახშეები, მოქრთამე მოხელეები, სხვა-და-სხვა გაიძვერა გაქნილები, და თქვენ-კი, სისხლის ჯოფლის მღვრელები, მუდამ გაჭირვების ჭირ-ვარამში იხრჩობითო. აბა კარგა დაუფიქრდით, თითო სოფელს ყოველ-წლივ წვრილწვრილობით რამდენსამე ასსა და ათას თუმანს აცლიან ხელიდგან უსამართლოდ ხსენებული მგელ-კაცებიო. ყველა სოფელს რო კაი ნასწავლი მამასახლისი ჰყავდეს, მაშინ-კი ეს აღარ მოხდებოდა, რადგანაც კეთილ-ნასწავლი მამასახლისი ნამდვილი სარდალი იქნებოდა სოფლისა: თავის გზა-კვალ დაბნეულ ხალხს კეთილ-ცხოვრების გზაზედ დააყენებდა, სოფლის დამღუპავ ალებ-მიცემობას სოფლისავე სახეიროდ მოაწყობდა, სოფლის ათას-ნაირ ჭამია-ნადირებსაც კრიჭას შეუკრავდა, უსკოლო სოფელს სკოლას გაუხსნიდა, ახალ საკეთილო მაშინა იარაღებსაც შეაძენინებდა ხალხს და სხვა მრავალ კეთილსაც შეჰმატებდა თავის დაუღალავ მელი ცოდნა-მეცადინეობითო. რაც თქვენ იმას ჯამაგირს მისცემდით, ასიმოდენა მადლს უკანვე დაგიბრუნებდათ, და ძმური ერთობა, ღვთიური სიმართლე და პატიოსნება კიდევ სხვა იქნებოდა სოფელში იმავე კეთილნასწავლი მამასახლისის წყალობითო. ყველას ჩამოთვლით რო თავი არ შეგაწყინოთ, მამასახლისს სოფლის აშენებაც შეუძლიან, დაქცევაცაო. აი ამისათვის გირჩევთ ყველას. იგეთ ამოირჩევდეთ სოფლის მოთავე სარდლათ, რომ დღე და ღამე თქვენს აშენებაზედ ზრუნავდეს და არა დაქცევაზეო, რო მართლა გმირული სარდლობა და სახელოვანი მამა-პატრონობა გაგიწიოთ ყველაში, და არა გაკვრა-გაგლეჯაზედ ეჭიროს თვალი დღევანდელ გაუთლელ მამასახლისებივით, რომლებიც თქვენ მჭამელ მგლებსაც-კი თავიაანთ კალთას ქვეშ იფარავენ თავიაანთავე ჯიბე-მუცლის გულისათვინო. ყველა განადირებული ტეტია-მამასახლისი ჭიახჭველა-ნაჭამი დათვია, და ჭიანჭველა-ნაჭამ დათვს თუ გმირულად არ დაუხვდი—მორჩომილია შენი საქმე: გუდა-ღეღევიათ გადაგყლაპავსო, და განა რამდენი იქნება ეხლა თქვენში იგეთი თავ-გამოდებული გმირი, რო რომელსამე გამგელ-კაცებულ არ შეეჭმევინოს, ალვირი ამოსდვას და სწორე გზა-სიმართლისაზედ ატაროსო. ეგრე, ჩემო ძმებო, დიდი სირცხვილი და ცოდვაა, როცა მგელს მთელი სოფლის ცხვარივით ხალხის მწყემსობას აძლევთ და ღორს—მებოსტნობასაო. ყველამ მოუწონა ეს სიტყვა: „ია, შენ გიშველოს ქრისტემ! ეგ ხო ნამდვილი სიმართლეა—რაც შენა ჰბძანეო“. მაგრამ რა გგონიათ, აბა გამოიცანით: მაშინ რაღა თქვა ხალხმა, როცა ის ნასწავლი წავიდა?

— რაღა თქმა უნდა, მახარად აიგდებდნენ, ჩვენი წინდაუხედავი ხალხის ამბავი რო ვიცით, მიუგეს აქეთ-იქიდამ.

— ჰოო, სწორედ მაგრე გახლდათ, ყლში ჩაცინებით წარმოსთქვა დიაკვანმა, გადიგრიხა არსენას ულვაშები და განაგრძო ქვეიანურად გამომეტყველ თვალების საამო მოძრაობით: ერთი ათიოდე ქვა-დამჯდარ კაცმა-კი ძალიან ჭკვაში მოუვიდა იმისი სამახსოვრო ლაპარაკი, და სხვა იმოდენა ხალხმა კი ღრეჯა დაიწყო ბიჭ-ბუჭურად და ყველამ მასხარად აიგდო იმისი ღვთიური სიტყვა: „ეგ რაღაჰ მიჰქარავდაო, ეგ ვიღაჰ დაჰკარგვიაო, ეგ საიდამღა მოთრეულაო, ნაჰწავლი მამასახლისები თუ კარგი იყო, ჩვენ მამა-პაპასაც ეყოლებოდაო, წავიდნენ, მაგათ ჰწვლაჰ-კი აგრე და იგრე ვუყავითო, ნაჰწავლები მაშენიკები არიან: მაგათ ის უნდათ, რო მეში-ბურთივით გვაიამაშონ თავიანთ ქეიფზედ, მაგრამ ვერ მიართვეს გოჭის თავი, მაგათი ოჰტატი ჩვენი შაგირდი იყოო, რა მოგვივიდა ერთი: უცხო ქში არ მივაძახეთ ყველამ, როცა წაეთრივაო“, და ვინ მოსთვლის, რეები არ დაროშეს, ნამეტანად სოფლის ჭამია ვეტრანა-ბოპოლებმა, რომლებსაც კბილს გამოშჩხრეკავი ნასწავლები ჭირივით ეჯავრებათ და საითაც უნდათ—თავს იქით უშვრებიან მთელ სოფელს ყელ-დუმასავით სათლელათ. თუ კვეხნაში არ ჩამომართმევთ, ჩემი უნახავი სოფელი ძნელათღა იქნება, და იცით, რა მინახავ იმ სოფლებშიაც? ზაფხულობით რო ნასწავლი კაცები და სკოლელები მოდიან სოფლად ქალაქებიდამ, სოფლის ყლაპიებს: ვაჭრებს, ხეპრე მოხელეებს და სხვა იმათთანა საკირეში ჩასაწვავებს ის სტუმრად მოსული ნასწავლებიც-კი თვალში ეკლად ეჩხირებათ და ადვილად აჯერებინებენ ბევრ ხალხს, რო ვითომც ის ნასწავლები დიდი „რაზბონიკები“ და „მაშენიკები“ არიან, რო ვითომ დღევანდელი ათასი ბეგარა-გადასახადიც იმათი ენის ბრალია და სხვა ამისთანები,—რა არი როცა ნასწავლები კეთილ რასმე იტყვიან სოფლისათვინ, ხალხმა არ დაუჯეროს და იგრე ჩვენ ნებაზედ ვათამაშოთ და ვჭამოთ მთელი სოფელიო. თორე ბევრ თქვენგანს ეს კარგად ეცოდინება.

— ნამდვილია, ნამდვილი! აი შენკი გენაცვალე მა ქრისტეში! იგრე დაჰემშარიტებითი ჰლაპარაკობ სულყველას, იტყვი კაცი ყველაჰ სულში ჰმჯდარხარ და იქიდამ ამოგიკრეფნია ხალხის გულიჰ პასუხები უმეტ-ნაკლებო სინამდვილითო, წარმოსთქვეს რამდენთამე, და დაიწყო ისევ დიაკვანმა დარბაისლურის სიდინჯით, მკაფიოდ და დალაგებით:

— ამას წინად, ერთი სოფლის დამღუპავი, ცუდად-გდების მოყვარე ვაჭარი ეუბნება ერთ ნასწავლს დაცინვით: „მშიერ ნასწავლებს ისემე — ჩვენი კეთილი ცხოვრება გშურთ და იმიტომაც არათ გეჰაშნიკებითო.“ „არა, ჩემო კარგოო, უთხრა ნასწავლმა: ზოგ ზოგი ღორი წლის-წლობამდის კურკო-წიფელში გდია, მაგრამ იმ ღორის კეთილი ცხოვრება ღორების მეტს არავის შეჰშურდებაო.

რადობას, დაამციროს ჩემი ღირსება საზოგადოების თვალში; თავიდგან ბოლომდე იგი ინსინუაციაა, საზიზღარი ინსინუაცია! რად გამოაშკარავა საჯაროდ თავისის რწმენისა და შეხედულების ბილწი, გამრყვნელი სარჩული „დარაჯმა“ როდესაც წოდებრივ გათანასწორებაზედ ჩამოაგდო ლაპარაკი და ამ გათანასწორების საშუალებათ „ფული“, გაჰზართა შეძლება აღიარა? ან რა საჭირო იყო, რა აზრი ჰქონდა სათაურს „ვისი ბრალია“? დაეწერდი პირდაპირ „ინსინუაციას“,—მორჩა და გათავდა; ამით მკითხველიც მოგებაში იქნებოდა, რადგანაც ერთიაშად გაიგებდა ვისთან აქვს საქმე, ტყუილ-უბრალოდ დროს არ დაჰკარგავდა კითხვაში, და თქვენც, „დარაჯო“ აღარ დაგჭირდებოდათ მტკნარის უვიცობისა და ზნეობრივის სიდუხჭირის გამოქვეყნება... მაგრამ, არა, თქვენ ამოეფარეთ „თანასწორობის“ პრინციპს, რომ ვინმემ ინსინუაცია არ შემწამოსო და ამგვარად მკითხველს თვალი ავუბაო. მაგრამ ძლიერ შემცდარი ბრძანდებით, —მკითხველი უფრო შორს-გამსჭვრეტია, ვინემ თქვენა გგონიათ: ის კარგად ჰხედავს, რა წითელი კოჭიც ბრძანდებით და რა საპატიო სახელი გქვიანთ; ყოველი პატიოსანი და განვითარებული ადამიანი ზიზღით ზურგს შეაქცევს თქვენ მიერ წარმოთქმულს აზრს „წოდებათა გათანასწორების“, მათის მორიგების შესახებ და გეტყვით: „თქვენი არა მრწამს-რა! ერთი სრულს სილატაკეს იჩენთ აზრისას და გონებისას, როცა ამბობთ, რომ ფული, ქონებრივი შეძლება სპობს წოდებათა შორის უთანხმოებას, უსწორ-მასწორობას, აერთებს, აკავშირებს ერთმანეთთანაო: რამ შეჰქმნა მაშ ბურჟუა-კაპიტალიზმი ერთის მხრით და პროლეტარიატი მეორეს მხრით, თუ არა ამ ფულის, სიმდიდრის შეგროვებამ ერთს ხელში? რა არის მაშ ეს დაუსრულებელი ბრძოლა ამ ორს წოდებათა შორის მთელს ევროპაში, თუ არ იმავე „ფულით“ შექმნილის უთანასწორობის შედეგი? მეორეც,—თვით ეს, თქვენი აზრი წოდებრივის გათანასწორებისა „ფულის“ საშუალებით, რომელსაც თქვენ, გეტყობათ, ერთობ შეჰხარით და შეტრფით, გამხრწნელი, ადამიანის ღირსების დამამცირებელი აზრია. მაშ თქვენის შეხედულებით, „ძმობის, ერთობისა და თანასწორობის“ დამყარება სანატრელი და შესაძლებელია მარტო ფულის შეძენის შემწეობითა და არა პირადის განვითარებით, გონებრივის, ზნეობრივის განსპეტაკებით, იმ ევოლიუციის შემწეობით, რომლითაც წინ მიდის კაცობრიობა თვისის მაღალის დანიშნულების შესასრულებლად? არა, ბ-ნო „დარაჯო“, თქვენ მტკნარს უვიცობასაც იჩენთ და გამხრწნელის რწმენის მექონეც ყოფილხართ!“

არ იფიქროთ, ბ-ნო დარაჯო, ამ წერილს იმისთვის ვწერდე, რომ თავი გავიმართლო იმ სანახევროდ გადასხვაფერებულს და სანახევროდ მოჭორებულს ამბებში, რომლების გავრცელებას თქვენ სცდილობთ „კვალი“-ს საშუალებით, რომ როგორმე ბჩრდილი მოაყენოთ ჩემს პირადობას. არა, ეს მეტად მიმაჩნია. მე არა მიმძღვის-რა ისეთი საზოგადოების წინაშე, რაშიაც თავის გამართლება მჭიროდეს; საზოგადოებას ეკუთვნის საზოგადო მოქმედება, მხოლოდ ის არის უმაღლესი მსაჯული მისის ღირსება-ნაკლულევანებისა და არც მე გავექცევი მისს სამართლიანს მსჯავრს. ჩემს საზოგადო მოქმედებაში არაფერი დაფარული და საიდუმლო არ გახლავს: მე ყოველთვის მზადა ვარ ანგარიში მივცე თითოეულს ჩემს ნაბიჯში საზოგადოებას, ხოლო რაც შეეხება იმას, თუ როგორის ხასიათისა ვარ, ამაყი თუ თავმდაბალი, როგორა ვცხოვრებ, ვისთან რა დამოკიდებულება მაქვს, ვისთან რა დავა ამიტყდა და სხვა და სხვა,—ეს ყველა ჩემს კერძო ცხოვრებას შეეხება და არავის ნება არა აქვს, არც იურიდიული და არც ზნეობრივის ამ პირადს ცხოვრებაში ხელის ფათურისა. არც თქვენთვის მოუცია, ბ-ნო დარაჯო, ამის უფლება არავის, მაგრამ ზედვე გეტყობათ, რომ „უფლება“, „ზრდილობა“, „სამართლიანობა“ თქვენთვის და თქვენისთანა ხალხისთვის გაუგებარი ჩინური ანბანია და ცალიერი ლიტონი სიტყვები. გამოსულხართ, აგიფარებიათ ნიღაბი, ამოსდგომიხართ უკან ღობეს და იქიდგან ათვალ-თვალებთ ჩემს კერძო ცხოვრებას, რომ შემდეგ ნაღარა და ბუკი დაჰკრათ იმ ჟურნალში, რომელიც ერთად-ერთი თავ-შესაფარი ალაგია თქვენისთანა ვაჟბატონებისათვის, აი, შეხედეთ ამ კაცს, რა გაზვიადებულია, ხელს არ აძლევს თავისს მოსამსახურეს, ხანდისხან უწყრება კიდეცა და სხვა ამგვარები. ნება მიბოძეთ გკითხოთ, ბ. დარაჯო, რისი დარაჯი ბრძანდებით? საზოგადო ინტერესებისა, თუ ჩემის კერძო ცხოვრების? თუ საზოგადო ინტერესებისა, აიხადეთ პირბადე, გამოძვერით ბნელ სოროდგან ნათელში, რომლისაც, გეტყობათ, თქვენ ასე გეშინიათ, დამენახვეთ თამამად, ვინა ბრძანდებით, და მაშინ გაგებთ პასუხს, თუ-კი ინებებთ და ჩემს საზოგადო მოქმედებაში ურიგო და უწესოს რამეს დამანახვებთ. ხოლო რაც შეეხება თქვენს „კერძო ჯაშუშობას“... უკაცრავად, —„დარაჯობას“ და დაფარულს სიბნელის წყვდიადით, საიდგანაც გველივით ცდილობთ კბენას, დამილოცნია თქვენთვის ეს ხელობა; იარეთ მაგ. სასიქადულო გზით, იფარფატეთ, რამდენიც თქვენს სულსა და გულს ნებავდეს, „სამეცნიერო“ „კვალი“-ს ფურცლებზედ, რომლის მართებული ლიტერატურული ზნე-ჩვეულებანი საზოგადოებამ საკმაოდ უწყის. მაგრამ გახსოვდეთ კი, ბ-ნო ჭორების „დარაჯო“, რომ პასუხის ნაცვლად მიიღებთ მხოლოდ ჩემს ღრმესს ზიზღის გრძნობას, რომელსაც, სრული იმედი მაქვს, შემოუერთდებიან ყველა რიგიანი პატიოსანნი პირნი, ვინც-კი მე მიცნობენ.

დიმ. ერისთავი.

1895 წ.

## რუსეთის ცხოვრება.

„მოსკ. ვედ“-ს შემდეგი დეპეშა მოსვლია პეტერბურგიდგან: შინაგან საქმეთა სამინისტროში დღეს, 27 მაისს, დაასრულა შეკრება და განხილვა რუსეთის გუბერნატორების მოხსენებათა წრევანდელ მოსავლის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ჯერ-ჯერობით მოსავალს ვერ უჩანს კარგი პირი; ჩრდილოეთ და დასავლეთ რუსეთში ცუდს მოსავალს ელიან; შუა გულსა და აღმოსავლეთ რუსეთში გვარიანს, დანარჩენს ადგილებში ზოგან გვარიანს, ზოგან ცუდს. ასე რომ, საზოგადოდ, წრევანდელი წელიწადი ჯერ-ჯერობით მაინც კარგს იმედს არ იძლევა.

—

ჟურნალი „მელვინეობს მოამბე“, რომელიც 1892 წლიდგან ბ. თაიროვის რედაქტორობით პეტერბურგს იბეჭდება, პირველ ივნისიდგან ოდესაში გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის. ჟურნალი ისევ უცენზუროდ გამოვა.

—

ამ თვეში უნდა მოვიდეს პასუხი იაპონიის მთავრობისაგან, ჰსურს თუ არა იაპონიას სავაჭრო ტრაქტატით შეეკრას რუსეთს და თუ ჰსურს—როგორის პირობებით.

## უცხოეთი

—

**ავსტრი-უნგრეთი.** ავსტრი-უნგრეთის პარლამენტის კომისიამ შეიმუშავა უკვე არჩევნების კანონ-პროექტი. კანონ-პროექტის ძალით პარლამენტი უნდა შესდგებოდეს 400 წარმომადგენლისაგან, წინანდელ 353 მაგიერ. არჩევნების წეს-რიგი ამნაირია ჰაბსბურგთ იმპერიაში: ყველა ამრჩეველნი განიყოფებიან ოთხ ნაწილად, ეგრედ წოდებულ კურიად: კურია მიწათ-მფლობელთა, კურია ვაჭართა და მრეწველთა, კურია ქალაქთა და კურია სოფელთა. თითოეული კურია ცალ-ცალკე ირჩევს დეპუტატებს; ჩამოთვლილი ოთხი კურია სულ ირჩევს 353 დეპუტატს. ახალის პროექტით ამ ოთხს კურიას მიემატება მეხუთე, რომელმაც უნდა ამოირჩიოს 47 დეპუტატი. ამ კურიის ამომრჩევლად იქნებიან ისინი, ვინც რაიმე გარდასახადს იხდის და მუშები. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი მაინცა-და-მაინც თვალსაჩინოდ არ სცვლის ძველს წესსა და რიგს, მიუხედავად იმისა, რომ განზრახუ-

---

ნასწავლებს-კი იმიტომ არათ ეპაშნიკებით, რო ათას-ნაირად ატყავებთ ცხვარივით ხალხს და თანაც იმოდენა ვერაგულ სიტყვებს ჩაჰჩიჩინებთ, რო თქვენი ენა-ჭარტალობით ხალხს ნასწავლი კაცებისა არა სწამთ-რა და ღვთისგან კურთხეული სწავლა-ცოდნა, თუ გაზეთ-წიგნების კითხვაც-კი უსაქმო ჩხირკედელ-ას ხელობათ მიაჩნიათ“. მაგრამ დახეთ უგნური ხალხის უმადურობას: „აბა მართლაც-და, ეგ თუ ჩხირკედელა მაშენიკი არ ალი, მაგაჰ რა უნდა, ეგ ვისი ტიკი-ტომარა სქდებაო,“ დაიწყეს აქათ-იქით ხალხში დაბალ ხმაზედ ლაპარაკი იმ ნასწავლ კაცზე, ვინც სიძალ-ღორედ გამხდარ მოძმეების ბედ-უბედურებას ქრისტიანულად ესარჩლებოდა!.... მოდი შენ და იმათ ჭკუა სთხოვე. ქართველს რო ჭკვა ჰქონდეს, ვაჰარი მშიერი მოკვდებაო, მართლა უთქვამს ამის მთქმელს. ა, ეგეთი უგნური წინდაუხედაობაა კიდეც მიზეზი, რო დღეს სოფელს ათასი ვერანა-სათოკე ძაღლი და ღორი იკლებს, იმათზე-კი კრინტსაც არავინ იღებს თავის საშველად, და როცა საწყალი მღვდელი ან დიაკვანი თავის სამსახურში კანონისაგან დადებულს ლუკმას მოითხოვს, მაშინ-კი, ვაი ქვასა და წყალს! ყველა ძაღლის ყბას გამოიბამს და რაც ქვეყანაზე უწმაწური სიტყვებია— სულ თავზე დააბღერტავენ პანტასავით თავიანთ მამა-მოძღვარს, სიმართლე სიყვარულის მქადაგებელს მოციქულს!

— ჩვენ! ჰოი, ტა-ტა-ტა! ფეხებიდამ დასახრჩობი ვართ, დიაკვანო, ფეხებიდამ! უკაცრაული პასუხია და რაღა უკაცრაული პასუხია: ქართველი რო წყალშიაც იხრჩობოდეს, არ უნდა შაიბრალო, როცა ის თავისი მჭამელი ნადირების მავნე-ეშმაკურ სიტყვას-კი ბრმად უჯერებს თავისივე დასაღუპათ, და კეთილ-ნასწავლი კაცების სახეირო რჩევა-დარიგებას-კი ახლოც არ იკარებს. სირცხვილი ჩვენთვის, სირცხვილი!. გულ-გარისხებით წარმოსთქვა მალხაზომ და შუბლ-შეჭმუხვნით დაუწყო ყალიონს აჩქარებული ბოლება.

— მეც მაგასა ვჩივი, ჩემო მალხაზო, რო რაღაც ღმერთი გაგვწყრომია სოფელს და ჩვენი მტერი და მოკეთე კერ გვიცვნია. ყველა მადლი და კეთილი სწავლისაგან დაბადებულა მთელ დუნიაზედ, და აპალთია იქამდისაც მიაღწევენ მწავლულები, რო უკვდავების წამალსაც-კი ამაჩენენ. უზარმაზარ ლონესაც-კი პაწაწინა ხერხი აჯობებსო, ნათქვამია, და ის პაწაწინა ხერხიც-კი ჭკუისაგან იბადება, ჭკუა—ცოდნისაგან და ცოდნა—სწავლისაგან, მაგრამ დახეთ უგუნურებას: ჩვენ-კი როგორ აბუჩათ ვიგდებთ ნასწავლებსაც და იმათ სწავლა-დარიგებასაც! ეგრეა-და, ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო. როგორც ჩვენ მამა-პაპას უწირნია, ჩვენც იგრე უნდა ვწიროთო, ნუ დააგდებ ძველსა გზასა, თუნდაც რო კამეჩები ყელთამდის გეფლებოდნენო—აი, ჩვენი გლეხ-კაცის დიდი ცოდნა და სწავლა! საკვირველ არიან, უფალო, საბრიყვენი ჩვენნი!—პირჯვრის წერით გააგრძელა ეს სიტყვა დიაკვანმა და ისე გულ-აფიცხებით აუმაღლაურა ხმას, თითქოს ეხხუებს ვისმეო:

— შე ქრისტიანო, მამა-პაპის კვალზედ უნდა ვიაროო, რო იძახი, მამა-პაპა უცოდინარი ყოფილა და ჩვენც აჯმები ვიყვნეთ?! მამა-პაპას ხარი დანასთან მიუყვანია დასაკლავათ და ჩვენც იგრე მოვიქცეთ?! რათა, შვილოსა, დღეს სუ სხვა დროა, სხვა ხალხია, სხვა ქვეყანაა, რა გინდა გაიგონო კეთილ ნასწავლების კეთილი სწავლა დარიგება და შენც იმათსავით კეთილათ იცხოვრო, მაგრამ რო არ გვესმის, რო არ გვეყურება. ქართველს თავში უბრაგუნებდნენ და, კაცო, ე ბრაგი-ბრუგი საიდამ მაისმისო,—აი, სადამდინ შაუსმენარია ჩვენი კაცი! რაც კაცმა თავისს თავს უყო, ქვეყანაც ვერ უზამდაო. ჩვენ თავსაც ჩვენვე ვღუპავთ, კაცებო, ჩვენ არ გვესმის ნასწავლების კეთილი რჩევა-დარიგება, არა გვაქ პირი, არა გვაქ ერთობა, არა გვაქ საზოგადო საქმის წინდახედული დადევნილობა, ვეღუპინებით სირეგვნისაგან მოჭორიკანებულ, უანგარიშო ცრუმორწმუნეობას, ვექძევინებით ათასს უსამართლო ძალლსა და ღორს—და მაინც კიდევ ყველას ყურზედ გვძინავს!. ერთი ძე-ხორციელი არ გამოვა სასოფლოზედ და არ იტყვის შეყრილ ხალხში: ხალხო და ჯამაათო! ქვეყანა ხერხიან სწავლა-ცოდნას აუყვავებია, ეხლა მაინც გავუგონოთ მწავლულებს, ეხლა მაინც ვუპატრონოთ თავს, ეხლა მაინც გავახილოთ ე მძინარა გონების თვალი და ნუღა ვიქნებით ჩვენი მჭამლების სათამაშებელ ბურთათო, მაგრამ, აბა, თქვენგან არ მიკვირს, ამის დარდი და ბოროტი ვისა აქვ. ჩვენ სუ ერთმანეთის ლანძღვა-გინებაში, მტრობაში, შურიან ქიშპობაში და თვალში თითის დაჭირებაში ვართ. ან არა-და, სამიკიტნოში რვა-რვა ტრიცეტკა არაყსა ვსვამთ და ვიხოცებით აღორებული მუცლისაგან. ეჰ! სადღაა ხალხი!.. სადღაა მტრის დასამარცხებელი ძმური ერთობა და გაგონება, სად... ოჰ, ცაო მაღალო! დიდო მოწამევ მრავალ-ტანჯულის ქვეყნისავ, რატო ყველას მეხი არ გვაწვიმე გასამუსრად, მინამ ჩვენი ქვეყნად-განთქმული ძმური ერთობა, გმირობა და ვაჟკაცობა დედაკაცის ლეჩაქს დაიხურავდა თავზედ!.. ზეცისაკენ თვალებ-აპყრობით წარმოსთქვა ეს უკანასკნელი სიტყვა გულზედ ხელებ-გადაჯვარედინებულმა დიაკვანმა, მწარედ ამოიგმინა და მწუხარედ დაუღუნა თავი რაღაც შავმა ფიქრებმა.

იქ მყოფ კაცებსაც მოულოდნელი მწუხარება დაეტყოთ სახეზედ და ისეთ ნაირად ჩაჰკიდეს თავები, თით ქოს რაღაც სამგლოვიარო და სამარცხვინო უბედურება დაატყდათო. იმათი სახის მწარედ დაღვრემილი გამომეტყველება აშკარად აგრძნობინებდა მნახველს, რომ დიაკვნის უკანასკნელის სიტყვებისაგან ათასი მიძინებული შხამი-ნაღველი, სირცხვილი და სინანული—ყველა ერთად აუდუღდათ გულ-გონებაში.

— მართალს ამობ, დიაკვანო, მართალს, დაარღვევა სიჩუმე მალხაზომ: ჩვენი გამბრიყვებელი, მჭამელი და დამღუპავი ნადირები-კი დაგვივიწყნია ჩვენივე სირეგვნით, და თავზედ ლეჩაქ-დახურულები ერთმანეთსა ვჭამთ და ვღრღავთ კაპარჩხინა დედაკაცებივით ცუდ-უბრალოზედ, გამიგონია: ყველაზედ ძნელი საქმე კაცად ყოფნააო, მაგრამ, ვაი სირცხვილო! ჩვენ კაცობა-კი არა, ადამიანობაც დაგვიწყებია და ქაჯ-ეშმაკების მიმდევრები გამხდარვართ ყველანი. აბა ჯერ ერთი უხეირო-წუნკალა მკითხავიც-კი რო თავის გამორჩომისათვის ქვეყანას თავის სარსარიკა ჭკვაზედ გვათამაშებდეს დათვივით და წარა-მარაზ დაგვათრევდეს აქათ-იქით, ი რაღა ქვეყანა უნდა იყოს და იქ რაღა კეთილი უნდა ეყაროს ხალხს!.. ფუ, ჩვენს ხალხობას, ფუი, ჩვენს ცოდნას და ლეჩაქ-დახურულ მოთმინებას—ფუი!.. გაცხარდა მალხაზო და დაიწყეს სხვებმაც ოხვრა-გმინვით თავის ქნევა.

ეხლა-კი მოუხშირეს ოთხსავ მხრიდგან: „შავაბათ! შავაბათ! დროა! ხალხოო! და დომხალივით აირივნენ ქალიან-კაციანად საუცხოვოდ აჭრელებულს ჭალაში აჟიჟინებული მლოცავები, წლის ოთხ-დროსავით თვალ-გულის მიმზიდავნი კახელ-ქიზიყელები, რომელნიც ზოგნი დაღვრემილს შემოდგომა-ზამთარს წაჰგვანდნენ და ზოგნიც—გახარებულს გაზაფხულ ზაფხულს.

დ. მახნაელი.

ლი კანონი ძლიერ ჩამოუვარდება ღირსებით ევროპის სხვა სახელმწიფოთა არჩევნების კანონს, ავსტრი-უნგრეთის დემოკრატები მაინც შიშობენ, რომ მთავრობას გაუჭირდება რეაქციონერებთან ბრძოლა და პროექტის კანონად შექმნა.

—

**შვეიცარია.** ახლო-ხან ვაადტის კანტონში, ივერდიენის არხივში, უპოვნიათ ორასამდე წერილი შესანიშნავის პედაგოგის პესტალოცისა. წერილები მეტად საყურადღებო ცნობებს შეიცავენ თურმე. წერილების დაბეჭდვას შემოდგომაზედ აპირებენ.

## ბიბლიოგრაფია.

ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნი რუსულს ენაზედ შემდეგის სათაურით: „Примѣненіе машинъ и усовершенствованныхъ земледѣльческихъ орудій въ хозяйствахъ съ посѣвами кукурузы“. წიგნი შედგენილია რ. ვ. ოდინეცისაგან, შეიცავს 66 გვერდს და ღირს სამ აბაზად.

ავტორი ამბობს თავის წინასიტყვაობაში, რომ შუათანა მოსავლიანს წელიწადში საქართველოში 30 მილიონი ფუთი სიმინდი მოდისო (აქედგან $^2/_3$ ანუ 20 მილიონი ფუთი მარტო ქუთაისის გუბერნიას მოჰყავსო). ამ შემოსავლიდგან 10 მილიონი ფუთი მაინც გააქვთ საზღვარ გარეთ, ასე რომ ჩვენი ქვეყანა ჩარეულა მსოფლიო ბაზარში. მაგრამ სიმინდის გასაღებას არ მოაქვს იმდენი სარგებლობა, რამდენიც მოსალოდნელიაო. ამის მიზეზად ავტორი ასახელებს უცხო ქვეყნებისა და ნამეტურ ამერიკის კონკურენციას და ამბობს, საჭიროა ისე მოეწყოს საქმე, რომ ამ კონკურენციამ სრულიად არ დასცეს სიმინდის წარმოება ჩვენშიო. ხოლო ამისთვის სხვა საშუალებათა შორის უმთავრესად ავტორი სთვლის სიმინდის ხვნა-თესვსა და მოვლის გაუმჯობესებას, იმ წეს-რიგზედ მოწყობას, რა წესზედაც ამერიკაშია ეს წარმოება დაყენებული.

წიგნი ექვსს თავისაგან შედგება, რომელთ შინაარსი დაახლოვებით შემდეგია: რა და რა იარაღია საჭირო ნიადაგის მომზადებისათვის; სიმინდის სხვა-და-სხვა ხარისხი: დათესვის წეს-რიგი და ამისათვის საჭირო მაშინა! მოვლა სიმინდისა ზრდის დროს; სიმინდის მოტეხა და ჩალის მომზადება; სიმინდის დასაცეხვი მაშინები; მიწის განოყიერება და ამის მასალა.

დასასრულ ავტორი ამბობს, რომ რაც უნდა კარგი იარაღი და მაშინა გამოიგონონ, რაც უნდა ცხადი იყოს მეურნეობის წეს რიგის შეცვლა-გაუმჯობესება, საქმე არ გაკეთდება, თუ თვით ხალხი იმდენად კერპია, რომ წინააღმდეგია ყოველგვარ ახალის წესისაო.

„საბედნიეროდ, განაგრძობს ავტორი, დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი (ავტორი ქუთაისის გუბერნიაში დიდიხანია ცხოვრებს და აღმოსავლეთ საქართველოს კარგად ვერ იცნობს) საკვირველის ნიჭის პატრონნი არიან. შრომისმოყვარეობა, სიფხიზლე, შესანიშნავი გამჭრიახობა, ჭკუა და მსწრაფი მოსაზრება, აი ნამდვილი ხასიათი გურულისა, იმერლებისა და მეგრელებისა. ამგვარი ხალხი უთუოდ შესძლებს ახალის კულტურის ადვილად შეთვისებას“.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო კობის ფოსტა ტელეგრაფის უფროსს ბ. ა. თულაშვილს, რომელმაც ჩემდამი რწმუნებულს ს. სტეფანწმიდის სოფლის მოწაფეებისათვის დასარიგებლად გამომიგზავნა ჩვიდმეტი ცალი წიგნაკი „სესე“ გ. ბარნოვისა.

აგრეთვე ფასანაურის ბლაღოჩინს მ. ზაქარია დავითაშვილს, რომელმაც ჩემდამი განზრახულ ს. სტეფანწმიდაში უფასო სამკითხველოსათვის გამომიგზავნა სხვა-და სხვა სასულიერო და საერო ქართული წიგნები, რიცხვით თვრამეტი ცალი.

მასწავლებელი გ. ნათაძე.

## შემოწირულება

—

ჩვენ მივიღეთ გ. ბედოშვილისაგან სამი მანეთი შემოწირული ი. კობაიძისა, გ. ავსაჯანიშვილისა და გ. აბაევის მიერ ი. დავითაშვილისა, შოთა რუსთაველისა და ა. ყაზბეგის ფონდის სასარგებლოდ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

30 მაისი.

**პარიზი,** 30 მაისი. სოციალისტი მილერანი დიდად ჰკიცხავს საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკას აღმოსავლეთ აზიის შესახებ და კილის არხის გახსნის დღესასწაულზედ მონაწილეობის მიღებისათვის. ბულანჟისტი ერნესტრონი დიდად გაკვირვებულია, რატომ უარი არ განაცხადა საფრანგეთმა გერმანიის მიპატიჟებაზედ. გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა: „საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკაში ცვლილება არა მომხდარარა. მას როგორც წინად, ისე ეხლა, მხედველობაში აქვს განაძლიეროს საფრანგეთის მნიშვნელობა განცალკევებით-კი არა, არამედ შეთანხმებით სხვა სახელმწიფოებთან, რომელიც უნაყოფო არ დარჩება. მიწვევის მიღება კილის დღესასწაულზედ დასასწრებლად ზრდილობიანობას ნიშნავს. საფრანგეთის მთავრობა თავისს მოვალეობათა სთვლიდა არ გაჩუმებულიყო შესახებ აღმოსავლეთ-აზიაში ურთიერთ შორის თანასწორობის დარღვევის გამო, მაშინ როდესაც ეს თანასწორობის დარღვევა რუსეთის საზარალოდ ხდებოდა.

**ბერლინი,** 31 მაისი. კილში უცხოელ ხომალდების მისვლა დაიწყო. აქ უკვე მოვიდა ავსტრიის ესკადრა. ესკადრის უფროსად ერცჰერცოგი კარლ სტეფანეა დანიშნული.

**პარიზი,** 31 მაისი. ბრესტიდან წავიდა კილს ჩრდილო-გერმანიის არხის გახსნაზედ დასასწრებად ორი სამხედრო გემი საფრანგეთისა. მესამე გემიც ამ დღეებში გაემგზავრება.

**ლონდონი,** 31 მაისი. ინდოეთიდან იუწყებიან, რომ ინგლის-რუსეთის კომისსია, რომელსაც საზღვარი უნდა გაეყვანა პამირს, შეიკრიბება ივნისის დამლევს ვიქტორიას კუნძულის მახლობლად.

აჯანყებრლი ინგლისელთა სამტროდ უმრა-ხანი ავღანისტანს გაიქცა, სადაც ემირის ბრძანებით დაკავებულია.

## განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ვ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!
ჰიგიენური
ბორნო-ცვიმოეულის საპონი
გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თვითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო საათფი აქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აგმუროვთან, კავკასიაში საათფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან.

(24—2—7)



## „ივერია“

1895 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 თვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 50 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.



დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
(ღ უ ზ ა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

### დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

### დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვერდს პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებული ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალესანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—›)



Дозволено цензурою, Тифлисъ 1-го Іюня 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე